“ა” კლასის ოსტატთა მატჩები

კუიბიშვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

თბილისის დინამოელთა მატჩმა კუიბიშევში ადგილობრივ “კრილია სოვეტოვთან” დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში. სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

პირველი 10–15 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. “დინამოს” თავდამსხმელები ხშირად გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ან კარგავდნენ ბურთს, ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში. მე–20 წუთზე იამანიძე (№11) პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ბურთმა ზევიდან გადაუარა კარს. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ იამანიძემ რამდენიმე მეტრის მანძილიდან დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს.

მეორე ტაიმის დასაწყისში აქტიურად თამაშობდნენ კუიბიშევის თავდამსხმელები. მე–60 წუთზე გულევსკი გავიდა ფლანგზე და ბურთი გადასცა ვოროშილოვს, რომელმაც იგი ძლიერი დარტყმით გაგზავნა მაღალ კუთხეში. მარღანიამ მოიგერია ბურთი, რომელსაც მოუსწრო ნოვიკოვმა. ამ უკანასკნელის დარტყმა აცდა კარს.

შემდგომში დინამოელებმა კვლავ მოიპოვეს უპირატესობა და განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 2:0.

“ლელო”, 27 აპრილი, 1955 წ.